



Focus Pocus LTD©Fotolia.com

CCBE Info

N° 45 სექტემბერი, 2015

Sexseneba ევროპელ ადვოკატთა დღე - ადამიანის უფლებები-2015 წლის დაჯილდოება, საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის სავალდებულო შეტყობინება - CCBE-ის და ბელორუსიის ადვოკატთა ასოციაციის პირველი ერთობლივი სემინარი - მართლმსაჯულების სასამართლო და საერთო სასამართლო - ბლოგები

შეხსენება- „ევროპელ ადვოკატთა დღე“

2014 წლის წარმატების შემდეგ, „ევროპელ ადვოკატთა დღე“ მ/წ 10 დეკემბერს ევროპის მასშტაბით „ადამიანის უფლებათა დღესთან“ ერთად იქნება აღნიშნული.

მიმდინარე წლის თემად არჩეულ იქნა „გამოხატვის თავისუფლება“, რომელიც ასახავს მის ადგილსა და გავლენას ჩვენს საზოგადოებაზე.

„ევროპელ ადვოკატთა დღე“ იძლევა შესაძლებლობას აღნიშნულ იქნას კანონის უზენაესობა და იურიდიული პროფესიის ნიშანდობლივი როლი მისი დაცვის კუთხით, ისევე, როგორც ადვოკატთა საერთო ღირებულებები და მართლმსაჯულების სისტემაში წვლილის შეტანა.

CCBE -ი ამ მოვლენასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში „ევროპელ ადვოკატთა დღის“ გზამკვლევის გამოცემას გეგმავს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.ccbe.eu/lawyersday.

„ევროპელ ადვოკატთა დღესთან“ დაკავშირებით

კითხვებისა, თუ შენიშვნების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით მადელინ კელერს

საკონტაქტო ინფორ მაცია: kelleher@ccbe.eu.



ევროპელ ადვოკატთა დღე 2014 - ხორვატიის ადვოკატთა ასოციაცია

ადამიანის უფლებები- 2015 წლის დაჯილდოება

2007 წლიდან, CCBE-ი ყოველწლიურად გადასცემს ჯილდოებს ადვოკატს ან ადვოკატთა გაერთიანებებს, რომლებმაც, როგორც პროფესიული ღირებულებების დაცვით, ისე პირადი დამოკიდებულებით, გამოხატეს ღრმა პატივისცემა იურიდიული პროფესიისადმი. მუდმივმოქმედ კომიტეტში წარმოდგენილი ნომინანტებიდან ჯილდო წელს მხოლოდ 2 ნომინანტს გადაეცემა.

ნომინანტები მოწვეულნი არიან დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც ტრადიციულად გაიმართება ნოემბერში დაგეგმილ CCBE -ის პლენარულ სესიაზე.

გადასახადებთან დაკავშირებული ინფორმაციის სავალდებულო შეტყობინება

8 სექტემბერს CCBE-ი ჩაერთო ევროპის კომისიის ონლაინ საჯარო კონსულტაციაში საერთო გადასახადების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. CCBE-ის მხრიდან გამოთქმულ იქნა შემოთავაზება იმ შესაძლო ინიციატივების შესახებ, რომელიც მიმართულია საერთო გადასახადების გამჭვირვალობის გაფართოებისკენ ანგარიშგების მოთხოვნების საშუალებით. აღნიშნული გავლენას ახდენს ყველა ადვოკატზე, განსაკუთრებით კი საგადასახადო სამართალში მოღვაწე ადვოკატებზე. ადვოკატი შეიძლება შეიზღუდოს ინფორმაციის გამხელის თვალსაზრისით, პროფესიული პრივილეგიის ან პროფესიული საიდუმლოების არსებობის გამო. გარდა ამისა, ადვოკატმა შესაძლოა არ დათმოს მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფო ორგანოების ან სხვა ინტერესთა ჯგუფების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, ადვოკატი არ შეიძლება იძულებული წესით ანგარიშვალდებული იყოს საგადასახადო ორგანოებთან, რადგან კონფიდენციალურობა და დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

CCBE ის მიერ ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში, ადვოკატები ვალდებული არიან იმოქმედონ კანონის ფარგლებში და თუ ადვოკატი წინასწარი შეცნობით კლიენტის მომსახურების პროცესში (საგადასახადო სამართლის დარგში ან სხვა) მიმართავს

კანონსაწინააღმდეგო ან თაღლითურ გზას, მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას სანქციები.

ასევე, CCBE -იმ წარმოადგინა კომენტარები ევროპარლამენტის სპეციალური კომიტეტის მიერ საგადასახადო დადგენილებების თაობაზე შემუშავებული ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით, რომელშიც გამოთქმული იყო შემოთავაზება, იმასთან დაკავშირებით, რომ კომისია შეისწავლის „სანქციების შემოღების შესაძლებლობა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ან ხელს უწყობენ გადასახადებისგან თავის არიდებას, აგრესიულ საგადასახადო დაგეგმვის პოლიტიკას, კერძოდ, როდესაც საკითხი ეხება ევროკავშირის ბიუჯეტიდან დაფინანსების ხელმისაწვდომობას და ნებისმიერ საკონსულტაციო როლს ევროკავშირის ინსტიტუტებში“ და რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ისეთი შედეგები, რომელიც შეუთავსებელია ადვოკატთა ძირითად პრინციპებთან და ვალდებულებებთან.

შემოთავაზებას ასევე იწვევს, ძირითადი უფლებების საკითხი, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიით. მათ შორის, რომელიც მაგალითად მოიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას, დუმილის უფლებას, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმას და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს.



CCBE-ის და ბელორუსიის ადვოკატთა ასოციაციის პირველი ერთობლივი სემინარი

2015 წლის 25 სექტემბერს მინსკში, ბელორუსიაში, CCBE-ის ორგანიზებით ჩატარდა პირველი ერთობლივი სემინარი ბელორუსიის ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად. სემინარი მიზნად ისახავდა ევროპის ქვეყნებში მედიაციის კუთხით განვითარებული მოვლენების გაშუქებასა და წინა პლანზე წამოწევას, კერძოდ

მედიატორის პროფესიაში შემოსვლის პირობები და წესი, საზოგადოების, სამთავრობო ორგანოებისა და სხვათა დამოკიდებულება პროფესიასთან მიმართებაში; და ასევე მედიაციის მდგომარეობის შედარება ბელორუსიასთან. სემინარზე მოხსენება გაკეთდა CCBE-ის ვიცე-პრეზიდენტის მაიკლ ბენიჰოს მიერ,

ასევე, ბელორუსიის, საფრანგეთის, საქართველოს, პოლონეთის და ჩეხეთის წარმომადგენლების მიერ.

ამ საკითხთან დაკავშირებით 2015 წლის 24 სექტემბერს ჩატარდა PECO კომიტეტის შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა იურიდიული პროფესიის მდგომარეობა ბელორუსიაში და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში



მაიკლ ბენიჰო ესწრება CCBE-ის და ბელორუსიის ადვოკატთა ასოციაციის პირველ ერთობლივ სემინარს მინსკში.

მართლმსაჯულების სასამართლო და საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლო

16-17 სექტემბერს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს და საერთო სასამართლოს წევრებს შორის შეხვედრა შედგა, რითაც გაგრძელდა CCBE-ის და სასამართლოების კონსტრუქციული ურთიერთობების ხანგრძლივი ტრადიცია.



G.Fessy @ CJUE

ბლოგები

CCBE-ი მოხარულია ამცნოს საზოგადოებას ორი ახალი ბლოგის ამოქმედების თაობაზე. პირველი CCBE-ის საგანმანათლებლო პორტალი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ევროპული მიღწევების შესახებ ადვოკატთა სწავლებასთან დაკავშირებით. მეორე წარმოადგენს PECO-ს პორტალს და მოიცავს ინფორმაციას კომიტეტის საქმიანობის შესახებ, ასევე, ანგარიშებს

და ცენტრალური/ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციების თუ სამართლის საბჭოების მიერ განხორციელებულ აქტივობებს.

ბლოგების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ:

<https://ccbepeco.wordpress.com/>

<https://ccbetraining.wordpress.com/>



მოახლოებული ღონისძიებები

- 2 ოქტომბერი - ევროპის კომისიის კონფერენცია თემაზე „კანონი, რომელიც სააქციო კომპანიების საქმიანობას არეგულირებს“ ციფრულ ეპოქაში, ბრიუსელი
- 9 ოქტომბერი - UNBA-CoE-CCBE მიერ უკრაინის ადვოკატთა ასოციაციის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვა, კიევი.
- 23 ოქტომბერი - CCBE მუქმივმოქმედი კომიტეტის სხდომა, ბრიუსელი
- 13 ნოემბერი - AFAC კონფერენცია- ადგილობრივი მმართველობა და ევროპა, პარიზი.